კვირა 22 ივლისი 1928 წ. № 162 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## პანი წავიდა--ნიშნავს: პანი ისევ თავის ადგილზეა ანუ პილსუდსკი ემზადება ახალი „გამოსვლისათვის“

მომავალ აგვისტოს 12 ან 18 ლეგიონერთა კავში რის წლიურ კრებაზე ვილნოში პილსუდსკი ამზადებს „ახალ პოლიტიკურ“ გამოსვლას“.

ამბობენ: ამასთან დაკავშირებით პანმა „ბრძანებაგასცა, რათა 15 აგვისტოს ვარშავაში იყვნენ გაუკლებლივ ყველა მინისტრები!“ (საკუთარი კორესპონდენტისაგან)



— მე მივდივარ!.. თქვენ კი აქ დარჩით! სახლიდა გასვლა არავინ გაბედოთ! ეზო-მიდამოს თვალი კარგად უგდეთ! განსაკუთრებით გაუფრთხილდით: წიწილები ძერამ არ მოიტაცოს, თორემ შავს დღეს დაგაყენებთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავის დაცვა

(თავდაცვის კვირეულის გამო)

მე თავს ვიცავ,
კერზონს ვფიცავ,
ჩემბერლენის თავის ქალამ,
ხომ უნდა ცოს ჩვენი მიწა,
თავდაცვის და ბრძოლის ძალმა!..

—:—

მეც ვუკლერ სიმს
„ავიო-ქიმს“,
ვიო საბჭოთა სხვა მგოსნები,
ჯარი მინთებს გულს ცეცხლის ჟინს,
თუ წითელი ზღვაოსნები....

—:—

ხომ უმათოდ,
უკამათოდ,
დაგვითვლიდა მტერი კბილებს:
აგვიკლებდა სათვალთ მაქცოდ,
როგორც ძერა ძირს—წიწილებს.

—:—

თუმცა ჯარი,
ზღვაზე მდგარი,
გემი, აფრა თუ ქვემეხი,
მშრომელ კლასის „მადლი“ არი,
მისი ძე თუ მისი „ფეხი“!..

—:—

შრომის ჯარი,
ვით ცისკარი,
დროს საწყისი თუ დღის თავი
მძლეა, ვით მზის ნიაღვარი,
ვით ზღვის ზვირთი,—უთვალავი!..

—:—

დღეს ის შრომობს,
ჯერ არ ომობს,
შენებას და ნებას იცავს,
და თუ ვინმე მის ავს ნდომობს,
არ დასტოვებს გაუცრიც...

—:—

ამ ივლისში,
კედლის ჭრილში,
ტახტისა თუ დივნის ძელში;
აქ—მუთაქის თავის პლისში,
იქ—სკამსა თუ სავარძელში,

—:—

შენ ბალინჯო
რომ მოსინჯო,
თუნდაც ერთი, თუნდაც ცალი,
გული ვით გსურს დაიდინჯო,
თუ იქ იქვე არ მოჰკალი?!

—:—

ჰო და ასე
ქვეყანაზე,
ბალინჯოა მტერი ყველა,
ვინც თავს აშვერს ჩვენს მიჯნაზე
და ელის სისხლს, ვით წურბელა!..

—:—

არ მოჰკლავ და....
თუ წაშავდა,
ხომ შეგისწრო სადმე ხვრელში?!.

ალბათ, ზურგი თუ აგქავდა,
თავს რომ იგდებ განსაცდელში!

—:—

თორემ კვლავად
შახტელ კრავად,
ვაჰ, თუ სახლშიც მოგვევლინა!!
გარს არ გვეყვის ის ყვავ-სვავად,
რომ არ ბილწოს შიგნით ბინა?!.

—:—

ჯერ—კონრადი,
ყველაფრამდი
ბილწი მწერი, მყრალი, მქისი,
ვაჰ, ჯერ რომ ვერ გავუმკლავდი
და ძრწის ქვეყნად ჩრდილი მისი!..

—:—

...ლავ—კავერდა,
...ავს ალერდა,
...ალინჯოც ვარშავიდან....
...ვ, ხელი რად შემიჩერდა,
...ს რომ საზღვარს გადავიდა?!.

—:—

შემდეგ—ხიკსი....
გვარი მისი,
შუბ...აგართა მთელი კრება,
ტომარაში მათ სადგისი
რომ დამალონ, არ იქნება!

—:—

ჩან-კაი-შიც—
შანხაიში,
ინ-სინ-შან თუ ლი-ტი-სინი,
ვხედავ, თვისას არ დაიშლის,
აქ ანტანტის ხმით სისინი!..

—:—

სემიონოვს,
თუ ვინც ყოვნობს,
იქით-აქეთ ემიგრანტი,
ვარშავაში, ვილნოს, კოვნო...
ევროპიდან—ჩინეთამდი;

—:—

ყველა ამათ
სმად თუ ჭამათ,
ეხარბებათ ჩვენი სისხლი!
მაგრამ მეც ხომ არ ვარ ხამათ:
იმათ ზვერვას არც მე ვიშლი!..

—:—

მე თავს ვიცავ!
კერზონს ვფიცავ,
ჩემბერლენს თუ პუანკარეს,
არ დავტოვებ გაუცრიცავს,
ვსთქვათ, თითიც თუ მომაკარეს!

—:—

ამ ივლისში,
ტახტის პირში,
კედელსა თუ კარის ზღურბლზე,
ბალინჯოს კვლას ვინ მომიშლის,
ან სხვებრ ზრუნავს თავის თავზე?!.

ონისიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალფეზიას ჩივილი

— დედა, დედა, რავა დევილუპე, რავა დევიფსე ცაცი!

ბიჭო, ამ კომუნისტებს ერთი ბეწვა შებრალება რომ არა აქვთ კაცის, ამისთანა გინახავთ.

არა, რას მერჩოდა აგი ხალხი, რომელი ბურჟუის ჩამომავალი მე ვიყავი, რომ ჩემი პატარძალივით მორთული სახლი ჩამომართვეს და თლათ გამაუბედურეს კაცი! აგია, რომ იძახოდენ: „პროლეტარცკი ჩამომავლობას არას ვერჩითო“!.

ბიჭოდა, ჩემისთანა პროლეტარცკი ჩამომავლობა ვის ქონდა მერე?! საცოდავ მამაჩემს ერთი თვალი სახლი ედგა, ისლით დახურული და სახლიც ის იყო, ქუხნაც, ბეღელიც და აკვანიც! პატარა ნიავი რომ დოუქროდა, რავარც აკვანი, ისთე ირწეოდა მთელი სახლი! ხარი მას არ გააჩნდა და ძროხა. ერთი ჭაკი ცხენი ყავდა უბედურს და სიმშილით ისთე იყო მიკნავებული, რომ კუდის განძრევა აღარ შეეძლო! ცხვარი მას არ ყავდა, ღორი და ინდაური.

რაცხა ერთი თეძო მონგრეული მამალი დალაყუნებდა ეზოში და ისთე იყო სიმინდს დანატრებული, რომ ვისაც თეთრ ფოლაქს დაუნახავდა, მაშინვე მიახტებოდა ზედ.

ერთხელ საწყალმა მამაჩემმა რაცხაზე გეიცინა და აგი ჩვენი დაფეხვილი მამალი რავარც ნაგაზი ძაღლი, ისთე ეცა კბილებში უბედურ მამაჩემს და ის იყო ამოუკენკავდა თელათ კბილებს, მარა ვეცით და რავარც იქნა მოვაშორეთ!

ა, ბატონო, ა!.. თუ ეს პროლეტარობა არაა და თქვენ გამამტყუნეთ აწი.

ის საცოდავი მამალი ტურამ გეიტაცა და შეახრამუნა. დამრჩა მთელ მამისეულში ერთად ერთი ჭაკი ცხენი და ის იყო და ის. ისტევლე მე ჩემით მევიწყვე ხელი და რაცხა თუთხმეტ ოთახიანი სახლი შევიძინე თბილისში.

გევიყიდე კაცი სულით ხორცამდე. ორიოდე გროში მქონდა, შიმშილობის წელიწადში სიმინდის ვაჭრობაში მოგებული, რაცხა ჩემი ბარბალეს მზითვი, იგი ცხონებული მამაჩემის დატოვებული ჭაკი ცხენიც გავაპრადალე და, თუ რამე მომეძეოდა, ყოროსფელი იმ სახლში ჩავყარე და ვფიქრობდი: „ახლა კი მოუჯდები ჩემს ბარბალეს და ვიცხოვრებთ შაქარყინულივით-თქვა“.

მარა, მისთანა დღე დაადგათ თქვენს გლახათ მახსენებელს, მე დღეი კომუნისტებმა დამაყარეს!

ასწიეს და აგი სიმწრით შეძენილი სახლი ქე არ ამაშელიპეს ზედ! მტრების გასახარად გაზეთშიაც ქე ჩამაგდეს! უცებ გაიგებიეს ყველას ჩემი უბედურების ამბავი!.

ჩემი მეზობელი სილიბისტრო სიპიტიჩი სიხარულით ფეხზე აღარ დგება, ამ ჩემ უბედურებას რომ შეხედა.

შიმშილობის წელიწადში ერთხელ ნახევარი ბათმანი სიმინდი მთხოვა და, რაღაი არ მივეცი, მის მერე გადამეკიდა და სწორეთ უნდა, რომე ჩემი სისხლი დალიოს!

დალია და ესაა!

ამაზე მეტ უბედურებას რაღას გეიგონებს ჩემსას! სოფელში ალირაფერი მაქვს და ქალაქში. ვაგდივართ მე და ჩემი ბარბალე თავუკულმა და ვსტირით. ჩვენი შემბრალე ქვეყანაზე კაცი აღარაა!

საწყალი ჩემი ბარბალე საწნახელს რომ გავდა ქალი, ჯავრით ისთე წახდა, ისთე დეილია, რავარც ციცარის კვერცხი!

მერე უბედურებას ისთე აეშალა ნევრები, რომ ახლოს აღარ მიკარებს! ამისთანა უბედურებაში ქე კი რა უნდა გაახსენდეს მაინც კაცს, მარა კაცნი ართ და გუნების შვილი!.. ერთხელ პატარა წაუჩხლაზუნე და მისთანა შებზიალდა, მისთანა გედირია, რომე სულ კვახის კაკალივით დამაყარა წიხლები! იმდენი მირტყა, იმდენი მიბილიკა, რომე, თუ სადმე ინტერესნი ნაწილი მქონდა ტანისა, თელათ ჩამინგრია ყოროსფელი!

აგია სიცოცხლე, აგია სამართალი!! სახლები მე ჩამომართვეს, გაზეთში მე ჩამაგდეს და ჩემი მტრები გაახარეს, ქალი მე გადამერია და ახლოს არ მიკარებს!.. ვაგდივარ აგი: ტვინით, სულით და ხორცით მოშლილი კაცი და რა წყალს მივსცე თავი, აღარ ვიცი!

მაინც და ამისთანა კიდევ გინახავთ! ჩემ სახლებში ქირას მევე მახდევინებენ!

ბიჭო, სად გაგონილა ამისთანა ამბავი, ვის მოსწრია, რომე, შენი საქონლის პატრონი სხვა იყოს და შენ შორიდან უყურებდე, თვალებდაფსებული, და კიდო იქით შენ საკუთარ ქონებაში ფულები აძლიო?!.

აგიც თუ სამართალია და ამასაც ვეკითხავ აფთიაქში!

არა, რათ მინდოდა მე უბედურს აგი მთელი ჩემი ქონება იმ სახლში რომ ჩავყარე!

ვაი, ჩემო ფულებო, ვაი, ჩემო ბარბალეს მზითვო! სად გადავყარე, რავა შამზე წევიდა ყოროსფელი!

ის საცოდავი მამაჩემის დატოვებული ჭაკი ცხენი მაინც მყოლოდა უბედურის სახსოვრად!

ვაი, უბეღურო ალფეზია, რავა იწვი უცეცხლოთ, მარა, ვინაა შენი შემბრალე?!.

გოგია.

## თავდაცვა ტფილისის ქუჩებში



ინსტიქტი ქალში—
თავდაცვის — ქარში!..

# პოეტი-ყოყი



— აი დედა ჩემო, რომ ამბობდი, პოეტობას დაანებე თავიო, ხედავ დღეს იმდენად გავითქვი სახელი, რომ ჩემი ერთი უბრალო ლექსი ვეფხვის ტყაოსანზე მეტი ღირს.

— როგორ, შვილო!

— დღეს რედაქციაში ერთ პატარა ლექსში 10 მანეთი მომცეს, ვეფხვის ტყაოსანს კი სახელმწიფო გამომცემლობა მხოლოდ 6 მანეთად ყიდის

# ცოფი

სასწრაფო დახმარების ამბულატორიაში შევარდა შეშინებული, ფერმიხდილი, თმებ-გაწეწილი მოქალაქე და საზარელი ხმით დაიღრიალა:

— მიშველე-ე-ე--თ... მალე!!! ექიმო... ვიღუპები!!!!

ფერშალი წერტილაძე საერთოდ კანონის მოყვარული კაცი იყო:

— თქვენი საანგარიშო წიგნაკი მიბოძეთ!—სთქვა მან.

— წიგნაკი თან არა მაქვს...—დაიკვნესა უბედურმა —ჭრილობა მაქვს ხელზე.... მიშველეთ რამე!!!

— უწიგნაკოთ არ შეიძლება, მოქალაქევ!

— თქვენ გენაცვალეთ! მალე მიშველეთ რამე, ცოფიანმა ძაღლმა დამკბინა... გადამარჩინეთ სიკვდილს....

— თქვენ ქართულად გელაპარაკებით: უწიგნაკოთ არ ვარჩენთ!

— ეხლა სამსახურში ხომ ვერ მივალ,ქარხანა დაკეტილია, მიშველეთ რამე და ხვალ წიგნაკსაც მოგიტანთ!

ფერშალი დაფიქრდა. შემდეგ თითქოს რაღაცა მოაგონდა და შეეკითხა:

— თქვენ სადა სცხოვრობთ?

— მუშათა საერთო სახლში!

მაშ, სახლის გამგეობიდან მომიტანეთ ცნობა, რომ მართლა ცოფიან ძაღლისაგან ხართ დაკბენილი!

მოქალაქე შურდულივით გამოვარდა ამბულატორიიდან და სახლისაკენ მოჰკურცხლა.

სახლის გამგეობის წევრები ჭადრაკს თამაშობდენ. ცოფიან ძაღლისაგან დაკბენილ კაცის ოთახში შემოვარდნამ არც ერთის ყურადღება არ მიიპყრო.

— ამხანაგებო, მალე მიშველეთ.. მომეცით ცნობა, რომ დღეს ცალყურაშვილის ძაღლმა მიკბინა....

— ძაღლმა გიკბინათ?—შეეკითხა ერთმა და პაიკი შესწია წინ.

— დიახ, ძაღლმა!—ცოფიანმა...

— ცოფიანი იყო?—შახ!!!!

— მალე მიშველეთ.... ცოფი მომედება....

შახის გამომცხადებელმა მხოლოდ ეხლა შეხედა დაზარალებულ მოქალაქეს.

— ა-ა-ა, ტაბიკაშვილო, თქვენ ხართ?! რისთვის შეწუხებულხართ?

— ძაღლმა მიკბინა... ცოფიანმა... საანგარიშო წიგნაკი ქარხკომში დამრჩა.. საჭიროა თქვენგან ცნობა...

— პეტრე, წაგებული გაქვს პარტია, შენ არც ერთი პაიკი აღარა გაქვს და მე კი უკვე ლაზიერი გავაცოცხლე... თქვენ როგორი ცნობა გნებავთ?! თქვენზე თუ ძაღლზე?... თქვენ რომ ტაბიკაშვილი ხართ ნამდვილათ თუ ისა, რომ ის ძაღლი ცოფიანი იყო?..

— სულ, სულ ერთაათ იყვეს!..

— მატი გაქვს, პეტრე?!—როგორ თუ სულ ერთაათ, სულ ერთაათ არ შეიძლება: ჩვენ რა ვიცით, თქვენ ძაღლმა გიკბინათ თუ კატამ, მეორე — დამსწრე არავინა ყოფილა დაკბენის დროს და მესამე კიდევ ის, რომ მე და პეტრე, ჩემო კარგო, ვეტერინარები არა ვართ, რომ დავამტკიცოთ ის ძაღლი ცოფიანი იყო თუ არა.

— მაშინ, მომეცით ცნობა რომ მე ნამდვილათ მე ვარ და ვცხოვრობ საერთო სახლში...

ტაბიკაშვილი ხვნეშით და ოხვრით შევარდა ისევ ამბულატორიაში და მიაწოდა ფერშალს მიღებული ცნობა.

ფერშალმა უკმაყოფილოთ გაიქნია თავი და ნაკბენ ხელს დაუწყო სინჯვა, რომელზედაც ცხადლივ ჩანდა ოთხი კბილის ნიშანი და შემშრალი სისხლი.

— ჭრილობის ამოწვა შეიძლებოდა ადრე, პირველათ რომ მობრძანებულიყავით მაშინ, ეხლა სისხლი შემშრალია და ამოწვა აღარაფერს უშველის. თქვენ უნდა აიღოთ სათანადო მოწმობა და რაიონულ ამბულატორიას მიმართოთ, რომელიც დაუყონებლივ ცოფის საწინააღმდეგო წამალს შეგიშხაპუნებთ.

— როგორი უნდა იყოს მოწმობა?!—ძლივსღა ამოიკვნესა მოქალაქემ.

— აკი გითხარით:—სა-თა-ნა-დო!!!

ტაბიკაშვილს გაგებული ჰქონდა, რომ ცოფით დაავადებულები საერთოთ ერიდებიან წყალს და ამიტომ იმ ღამეს იგი სცდილობდა რამდენათაც კი შეიძლებოდა მეტი წყალი დაელია. ღამის განმავლობაში გამოსრუტა სამი ვედრო წყალი და დილას კი, როდესაც შეშინებულმა შეამჩნია, რომ წყალს უკვე დიდ გაჭირვებით და ზიზღით სვამს და ერთი ზედმეტი დალეული წვეთიც კი გულს ურევს, მორჩენაზე სულ მთლათ დაეკარგა იმედი. გათენებისას, შიშით გაფითრებული, თმა ყალყზე, თვალებ ამოცვივნილი საცოდავი ტაბიკაშვილი გიჟივით მიეშურებოდა ამბულატორიისაკენ.

ამბულატორიაში უპირველეს ყოვლისა მოითხოვეს მოწმობა.

როგორი მოწმობა გნებავთ?..

— სათანადო—ამხანაგო!

— არა მაქვს სათანადო—აი, ჭრილობა!—და ტაბიკაშვილმა გაუწოდა გაშიშვლებული ხელი.

— ექიმმა მხრები შეიმუშნა და უბრძანა შეევსო ანკეტა.

აკანკალებულ თითებით ავსებდა ტაბიკაშვილი ანკეტას. უკანასკნელ კითხვაზე:

— „უკბენიათ უწინ ცოფიან ძაღლებს ან სხვა ცხოველებს თქვენთვის და თუ არა რატომ“—მან ასე უპასუხა:—არა,—ვინაიდან ვფრთხილდებოდი თავს და ცოფიან ცხოველებს ვერიდებოდი-ო.

ექიმმა დიხედა ანკეტას, დააკვირდა ჭრილობას, ისევ მხრები შეიმუშნა და წააწერა ანკეტას:—„მარცხენა ხელის ნეკის ძირში ემჩნევა რაღაცა ცხოველის ნაკბილა-

რი. საჭიროა წარმოდგენილ იქნას დაზარალებულის მიერ ცნობა ვეტერინარისაგან იმის შესახებ, რომ ჭრილობა ძაღლისაგან არის მიყენებული, აგრეთვე ცნობა აღნიშნულ ძაღლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა.

— ექიმი ნ. ნაჭყაპუტიძე".

ტაბიკაშვილი ისე გავარდა ამბულატორიიდან, თითქოს მართლა ცოფი მოერიაო.

ვეტერინარი, რომელსაც მიმართა მან, ძალიან კეთილი გულის აღმოჩნდა:

— ძაღლმა გიკბინათ?!—ჰო-ო!! შესაძლებელია ცოფიანიც ყოფილიყო! რა ფერის იყო ძაღლი?

— შავი... მაგრამ უფრო თეთრი უნდა ყოფილიყო, მგონი... არა, არა, პირიქით... ყვითელი იყო ყვითელი... მაგრამ უფრო ცოფიანი უნდა ყოფილიყო... წაილუღლუღა ტაბიკაშვილმა.

— ა-ა ა! კი მართალია... აგერ ნაკბილარიც სჩანს.... მაშ თქვენ მოწმობა გინდათ არა?! მაგრამ საკვირველი ამბავია, რამდენათ თავაშვებული ხალხია ამბულატორიის თანამშრომლები, როგორ შეეძლოთ ამ საქმის ასე უნდობლათ გაჭიანურება? ამ საქმის გადადება ხომ ადამიანის სიკვდილს უდრის!!! მომეცით მოწმობა და მაჩვენეთ თქვენი ძაღლი და ეხლავე ცნობას ჩაგაბარებთ...

— რომელი ძაღლი?!! რა მოწმობა?!! აქვითინდა ტაბიკაშვილი.

— როგორ თუ რომელი?! გაუკვირდა ვეტერინარს—ძაღლი, რომელმაც გიკბინათ და სათანადო მოწმობა. ისე—უსაფუძვლოთ ხომ ვერ მოგცემთ ცნობას!?!.

საზარლათ დაიღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა ტაბიკაშვილმა, შეშლილივით დააბრიალა თვალები, დააკრაჭუნა კბილები და მუშტების ქნევით გამოვარდა კაბინეტიდან. საბრალომ გადასწყვიტა უკანასკნელათ ჯანმრთელობის განყოფილებისთვის მიემართა.

— საძაგლობაა!!! დაუშვებელია!!! ავადმყოფის დაცინვაა!!! დაუყონებლივ უნდა მოიხსნას და პასუხისგებაში მიეცეს ასეთი მოხელეები!!!—ყვიროდენ ჯანმრთელობის განყოფილებაში.

ტაბიკაშვილს ლაპარაკის უნარიც კი დაეკარგა, სიხარულით და ხელებით და თავის კანტურით უხსნიდა საქმის ვითარებას.

მდივანმა სტაცა ხელი ბლოკნოტს, მოხია ერთი ფურცელი და დაიწყო წერა:

„გეგზავნებათ ცოფიან ძაღლის მიერ დაკბენილი ამხ. ტაბიკაშვილი და უსასტიკესი წინადადება გეძლევათ, ყოველგვარი საექიმო დახმარება აღმოუჩინოთ მას.

დანართი: 1......

— მოიტანეთ თქვენი მოწმობები და ვეტერინარის ცნობა!!.

## სოფლური გულუბრყვილობა



ნეტა ვიცოდე, რა გატირებს? გათხოვებთ, ხომ არ გახრჩობთ... ის კი არა მე სიხარულით გავყევი ჩემს ქმარს...

— შენ დედილო მამაჩემს გამოყევი ცოლად და, რა საკვირველია, არ იტირებდი... მე რომ სულ უცხოზე მათხოვებთ?!.

— არა მაქვს არავითარი მოწმობები,—უპასუხა ტაბიკაშვილმა.

— როგორ?! არა გაქვთ!? მაშ, რა გაქვთ?!? უმოწმობოთ არაფერი გაკეთდება! ჯანმრთელ კაცს ხომ... არა, ამხანაგო, მოგვიტანეთ ცნობა და მოწმობები....

ტაბიკაშვილი გაცოფდა. გორავდა იატაკზე, გმინავდა და პირიდან ქაფი ამოსდიოდა.

სასწრაფო დახმარების ეტლმა გააქროლა იგი საავადმყოფოში.

— აი, ასეა მუდამ, დროზე არ მიმართავენ ექიმს და მერე კი... ეჰხ... წაილაპარაკა ჯანმრთელმობის მდივანმა და ჩაიქნია ხელი.

ძაღლი ვეტერინარებმა გასინჯეს და ვერავითარი ცოფი თუ სხვა ავადმყოფობა ვერ აღმოაჩინეს.

საკვირველია და თანაც საოცარი—ძაღლი ჯანმრთელი იყო და ტაბიკაშვილი კი სად გაცოფდა?!.

# როგორ გადავირიე*)

შარშან, ამ დროს, თბილისი რომ სიცხისაგან თავის „კალაპოტში" ვერ ეტეოდა: ხალხი, რომ ქუჩებში გამოფენილიყო და რუსთაველის პროსპექტზე გავლა არ შეიძლებოდა: ან გვერდებს ჩაგამტვრევდენ, ან ავლაბრულად „შემოგიკურთხებდენ", (პოეტ ტ. ტაბიძის ცნობით ასეთ მოვლენებს დღესაც ქონია ადგილი თბილისის ქუჩებში), ერთ უბრალო შემთხვევის გამო, ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში შემთხვევით მოვხვდი, საცა გადარეულად მიმიღეს და საავადმყოფოშიდაც კი გამაგზავნეს. მართალია, გადარეული გამოვდექი არა მე,არამედ დაწესებულების გამგე. მაგრამ მას შემდეგ გადარეულის სახელწოდებას ვატარებ და ნამდვილ გადარეულს მართლა გადარეული ვგონივარ.

დღის 12 საათი იქნებოდა. რუსთაველის პროსპექტი სავსე იყო მოსეირნე, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მოხეტიალე ხალხით, „ტარტაროზის" დავალებით ქუჩებში „საკბილოს" ვეძებდი. ლაღიძის წყლის სავაჭროსთან დიდძალ უსაქმურებს მოეყარათ თავი. თვით სავაჭრო ისე იყო გა-

*) „ტარტაროზს" გადაეწყვიტა „ახლო მომავალში" ჩემი თავგადასავალისათვის სპეციალური ნომერის მიძღვნა (თუ მანამდის ამხ. ბარონს არ აუსრულდა დიდი ხნის ნატვრა ყველა ქართულ ჟურნალების დახურვის შესახებ, მათი დეფეციტიანობის გამო; და მათ შორის არ მოყვა „ტარტაროზიც"); ვინაიდან ამჟამად ძნელი სათქმელია როდის შეიძლება ზემოხსენებულ გადაწყვეტილების რეალიზაცია (ჩვენ დროში, თუ მაშინ; როცა დედამიწის დანარჩენ ხუთ მეექვსედზედაც იფრიალებს წითელი დროშა; როცა ენგურის ქაღალდის ფაბრიკის წარმოება იმდენად გაიზრდება; რომ ახალ ქომის მოთხოვნილებებს და კმაყოფილებს); ამიტომ საჭიროა დავინახე ამავე ნოემრში მომეთავსებია „ჩემი თავგადასავალის" ერთი თავი; ეხება ჩემი „გადარევის" საკითხს.

გადარეული.

[illegible] ბიბლიოთეკა

შედილი, რომ ხელიკიც ვერ შეძრობოდა. მე კი როგორც იყო შიგ შევედი (მიშველა „ტარტაროზის" მანდატმა).

— რიგში ჩადექით, მოქალაქევ, რიგში! მომესმა ხმები, როცა შაურიანი გაუწოდე ახალგაზრდა თვალჭრელა მოლარე ქალს (დღესაც რომ სალაროს უზის).

— აქაც რიგში უნდა ჩავდგე? უკმაყოფილოდ ჩავილაპარაკე ჩემთვის და სავაჭროდან გამოვედი.

ოპერის თეატრის წინ შეჯგუფებულ ხალხს მოვკარი თვალი. ეგებ რაიმე „სატარტაროზო" ამბავი იქნეს მეთქი, გავიფიქრე და ის იყო დავაპირე იქით წასვლა, რომ ქალის ხმა შემომესმა: კაკოი ნახალ- მივხვდი რაშიაც იყო იყო საქმე. უნებლიეთ ქალს გვერდით გავკრიდი, მოვბრუნდი. ბოდიშის მოხდა განვიზრახე, მაგრამ შევჩერდი. ქალს ორი „კავალერი" მოყობოდა. ერთი ვიღაც ულვაშებ-გადაგრეხილი, ჩახანჯალებულ-ჩარევოლვერებული, რომელიც ნამდვილ „ჯაყოს" წააგავდა, მეორე კი ენაწაგდებული „გომფაჰი" ძაღლი. სიმართლე უნდა ითქვას, ტანში გამაჟრჟოლა. ვიფიქრე, ვაი თუ თვითონ მე გავხდე „სატარტაროზოთ" მეთქი და შურდულივით გავექანე ოპერის თეატრისაკენ.

— გამიშვით, გამიშვით, უნდა დავწვა! ყვიროდა პოეტი სანდრო ეული, რომელიც ნავთით და ასანთით იყო შეიარაღებული.

— არ გაგიშობ! კოროტკო ი იასნო! ისმოდა დირექტორის ხმა, რომელიც ჯვარზე გაკრულივით იდგა კარებში.

გამიშვით! გამიშვით! უნდა დავწვა ძველი ოპერები, უნდა დავწვა ამ თეატრის ნაგავი, ოპერის თეატრი უნდა დაადგეს ახალ გზას, უნდა შეიქნას თანამედროვე ოპერა... პათეტიური ხმით განაგრძობდა ეული.

— მე არ ვიცი ძველი და ახალი ოპერა, მე ვიცი მხოლოდ ფული. მე არ ვარ არც ზაქრო ფალიაშვილი, არც ვანო ფალიაშვილი, არც ქარცივაძე, არც გურესი... მე ვარ კომერსანტი... მე ვდგამ იმ ოპერას, რომელსაც შემოსავალი ექნება.·. მე ვიცი ფული, ფული და ფული! თავმომწონეთ გაიძახოდა დირექტორი.

— თქვენ რაცა ხართ და ვინცა ხართ, კარგად ვიცი!.. ჩვენ გვინდა ახალი, თანამედროვე ოპერა... ძველს ცეცხლი უნდა წაუკიდოთ! გამიშვით, გამიშვით!..

— არ გაგიშობ!.. არა და არა! უყვიროდენ ერთმანეთს ეული და დირექტორი.

გამიშვით, თორემ აი, ხედავ! და ის იყო ეულმა მოიმარჯვა ხელში სანავთე დირექტორისათვის ნავთის შესასხმელად, რომ, თითქოს, მიწიდან ამოძვრა, გაჩნდა ბრანდმეისტერი ბერიძე თავის ცეცხლისმქრობელი რაზმით. შემდეგი ამბები ყველამ იცის: ეული „დამარცხდა", დირექტორმა სრული „გამარჯვებით" დაასრულა სეზონი, რომლის გამო, დიდი ამბავით გადაიხადეს მისი იუბილეი. მაგრამ ეს ამბავი არ ეხება ჩემი გადარევის საკითხს. ცეცხლისმქრობელი რაზმის დანახვისთანავე მე „მოვკურცხლე" განსახკომისაკენ, საცა აუარებელი ხალხი რიგში იდგა. ვიფიქრე, ალბად, აქაც თუ წყლისთვის დგანან მეთქი და მეც ვიკადრე რიგში ჩადგომა. გაგიჟებით მწყუროდა. ცოტა ხნის დგომის შემდეგ მეორე სართულზე ავისწიეთ და ერთ ოთახში ამოვყავით თავი. მე კუთხეში მოვხვდი, საცა ხან ერთ კედელზე მიმაჯახებდენ, ხან მეორეზე.

მეორე ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა.

— მე თქვენ ვერ მიცნობთ, მე მეცნიერი პოეტი ვარ, ევგენი დვალი, რევოლიუციონერი და შოთა რუსთაველის პარტიის ბელადი!

— როგორ თუ ვერ გიცნობთ, გიცნობთ, მაგრამ თქვენი ლექსები თანამედროვებისათვის...

— რაო, მიუღებელია?.· რას ამბობთ, თქვენ ბეცი ყოფილხართ, განა, ასეთი ლექსები მიუღებელია?

კაცის ცნობას უნდა ჰქუჩა,
ჩვენში თითქმის ყველა [illegible]
ვლიან, როგორც ხარაბუა,
ალბად, დრო და ჟამი ტყუა..

გეკითხებით, განა, ეს ლექსი რევოლიუციონური არ არის? განა, მეცნიერული ლექსი არ არის? მაშ, არ მაძლევთ დაბეჭდვის ნებას? ვნახოთ, მე უთქვენოთაც დავბეჭდავ!

და გამგის ოთახიდან მორიალივით გამოვარდა ევგენი დვალი და ჩემს წინ მოჩვენებასავით აეყუდა.

თქვენც მწერალი ხართ!.· შემეკითხა ის.

მე არ ვიცოდი რა მექნა. ბოლოს ტყუილი ვამჯობინე.

დიახ, პოეტი ვარ!..

მაშ, რუსთაველის პარტიის წევრიც იქნები..

შემოირაეთ ჩემთან... მშვიდობით... მე დრო არა მაქვს. მეცნიერულ პოემას ვათავებ"! მან მაგრათ ჩამომართვა ხელი და ოთახიდან გავარდა. მე თავისუფლად ამოვისუნთქე. არ ვიცოდი, სად ვიყავი, რა დაწესებულებაში. გამგის ოთახიდან კვლავ მოისმა ხმამაღალი ლაპარაკი.

მაშ, არ მაძლევთ ნებას?..

არ გაძლევ, ამხანაგო არა!..

რატომ?

მიზეზი გითხარით. თქვენი ლექსები არ გამოდგება.

მაშ, ტყუილა მიწერია ამდენი ლექსები?..

განა, ეს ლექსი სუსტია, წაგიკითხო რაღა.

აეკალობას ვერ ჩავიდენ
ვერც მეგობრებში, ვერც ძმებში
წორ ამხანაგის ცოლები
არ გამომრჩევია რძლებში
ვისაც გამოგითქვათ ლექსი,
საწყენოთ ნურავინ მიიღებს,
რომ თვე ისე არ წავიდეს
არ გამოვთქვა ხუთი - ექვსი
ჩემი ხელობა ეს არის,
ვარ ლექსების გამომთქმელი.

ეხლა რას იტყვით? ხომ მართალი ვარ? ქართულ ლექსებს რომ თავი დავანებოთ, ჩემი რუსული ლექსებიც ჩინებულია, ჩინებული! აი თუნდაც ეს ლექსი..

Триста лет наш государь
всех мир в руках держал
если на кого серчал
всех придушил не пускал...

— ამხანაგო, თავი დაანებეთ კითხვას, თქვენი ლექსების დაბეჭდვა არ შეიძლება!

— როგორ თუ არ შეიძლება?

— დიახ, არ შეიძლება!

— გიჩივლებთ!

— მიჩივლეთ და რაც გინდათ, ის ქენით!

— აბა, ვნახოთ...




გამგის ოთახიდან გამორბის ახალგაზრდა, ოთახის კარს მიახეთქს, გამგეს მაგრად შეუკურთხებს და გიჟივით გარბის. მე კიდევ ვერ მიმხვდარიყავ, თუ რა დაწე-

სებულებაში ვიყავი. საგიჟეს არ გავდა.. ექიმებს ვერ ვხედავდი, ამ დროს კარებში გამოჩნდა თვითონ გამგე:

— აშოტ! მიმართა მან თავის თანამშრომელს, კარები ჩაკეტე, არავინ შემოუშვა, გესმის, შემოვიდეს ჩემთან მხოლოდ ვინც აქ არიან! ის გაბრუნდა. მინდოდა გაპარვა, მაგრამ შეუძლებელი იყო. უკანასკნელი ჯერიც ჩემზე მოდგა.

— შებრძანდით.ამხ-გო! მომმართა აშოტამ და გამგის ოთახისაკენ ხელი მიმიშვირა. ერთი წუთის შემდეგ გამგის მაგიდასთან ვიდექი. მამგეს თავზე ხელები შემოეწყო და თავი ჩაექინდრა, ცოტა ხნის შემდეგ მან აცრემლებული თვალებით შემომხედა:

აი, ხომ ხედავ, ამხანაგო, რა ყოფაში ვარ, სწორედ გავგიჟდე რაღა! და მან სკამისაკენ მიმითითა . მე დავჯექი.

— თქვენ პოეტი იქნებით, ალბად! ამოოხვრით შემეკითხა მან.

არა, პოეტი არა ვარ!.. უპასუხე. მას თვალები გაუბრწყინდა.

— მოხარული ვარ, ძლიერ მოხარული... პოეტებმა სული ამომართვეს! ამბობდა ის.

— მაშ, პროზაიკი ბრძანდებით?

— არც პროზაიკი...

— ო, ეხლა კი მივხვდი... გაიღიმა მან დრამატურგი ყოფილხართ. სასიამოვნოა, სასიამოვნო, მხოლოდ მარტო თქვენ დრამტურგის კრიზისიდან ვერ გამოგვიყვანთ: „ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“.

— მე არც დრამატურგი გახლავართ! უპასუხე მე. ის თვალებში ჩამაჩერდა, მის სახეს ნაცრის ფერი გადაეკრა. მაშ თქვენ ვინა ხართ?.. სულით ავადმყოფი?.. ჩემთან რა გინდათ? მოიცათ, მოიცათ! ის მეორე ოთახში გავიდა.

— აშოტ, აბა ჩქარა, გამოიწვიე სასწრაფო დ ახმარება. გესმის? დაუძახე, რომ ჩემთან ვიღაც ჭკუაზე შეშლილია, ჩქარა, აბა, ჩქარა!.. მესმოდა გამგის ხმა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მინდოდა გავქცეულიყავ, მაგრამ ჩემს წინ გამგე იდგა.

— თქვენ ცოტაავათ ხართ, არა უშავს, ექიმები მოგარჩენენ!

— რას ამბობთ?.. მე ავათ არა ვარ!.. გაბრაზებით ვუპასუხე და ის იყო, წასვლა დავაპირე, რომ ოთახში შემოვიდა სამი თეთრ-ხალათიანი.

— ვინ არის ავათ? იკითხა ერთმა მათგანმა.

— ეს არის! მიუთითა ჩემზე გამგემ.

— მე ავათ არა ვარ, მე შემთხვევით!.. და სიტყვა ჩავყლაპე.

— ავათ არის, ავათ! ამბობდა გამგე და თან ტიროდა.

— თქვენ რა გატირებთ?.. შეეკითხა მას ერთი თეთრ-ხალათიანი.

— მეშინია, საცაა თავს დამესხმიან... ხედავთ..

— მიშველეთ, პოეტები თავს მესხმიან, პოეტები... ყვიროდა გამგე და კედელზე ეკვრებოდა.

— ხომ ხედავთ, მე კი არა ის არის ავათ... წამოვიძახე ხმამაღლა.

თეთრ-ხალათიანებმა ერთმანეთს ჩაულაპარაკეს.

— აბა, წავიდეთ, წავიდეთ მოგვმართა მე და გამგეს იმათ უფროსმა.

— მე ხომ ავათ არა ვარ მე.. მე... არ წამოვალ! შეშინებული ვამბობდი.

— მართალია, თქვენ ავათ არა ხართ, მაგრამ წამოსვლა თქვენი მინც საჭიროა! ჩამილაპარაკა ერთმა მათგანმა. მეც დავთანხმდი.

რუსთაველის პროსპექტზე რომ გავედით და გადახურულ ეტლში ვჯდებოდით, გამგემ ისევ ყვირილი მორთო...



— მიშველეთ... მიშველეთ.. პოეტები თავს მესხმიან! ყვიროდა ის! პოეტები ჯგუფად იდგენ და გამგის გადარევას სიხარულით ხვდებოდენ... რუსთაველის პროსპექტზე გამოფენილიყო მთელი თბილისი და ყველა ჩვენზე ლაპარაკობდა... მეც გადარეულათ მთვლიდენ.

საავადმყოფოში დიდხან არ გავჩერებულვარ... მაშინვე გამანთავისუფლეს. გამგე კი სულით დაავადმყოფებული აღმოჩნდა და ცალკე ოთახში მოათავსეს. მას შემდეგ ერთი წელიწადი გადის, როგორც გავიგე იმ დაწესებულების გამეთ ახალი პიროვნება მოუწვევიათ, რომელსაც თურმე, ტერენტი გრანელის ცნობით, სულის ავადმყოფობის ნიშნები იმ დღიდანვე დატყობია, რა დღესაც მას ამ უკანასკნელმა გაუკეთა პირველი ვიზიტი.

გადარეული.

# კითხვა-პასუხი

მასწავლებელი: მიპასუხეთ, ყმაწვილო! რა არის „ხაფანგი“ და სად გამოიგონეს იგი?

მოწაფე: ხაფანგი გამოგიონეს აქ (დ. საჩხერეში). იგი ნიშნავს — შექმასს!.,

მასწ.—აა, ვერ მიხვდით. ეგ „გაფლანგვა“ არის. კოოპერატივზე და საკრედიტო ამხ.-ბაზე ლაპარაკობთ, არა? მე „ხაფანგს“ გეკითხებით, დახაჭერი იარაღია.

მოწ. — მასწ-ლო, დამჭერი ხომ „ჩეკაა“ და დახაჭერი იარაღიც იმათ აქვთ.

მაწ. — კარგი. მე თქვენ ვერ მიმიხვდით. მიპასუხეთ სად არის ქალაქი „ჩიკაგო“?

მოწ.: — კიდევ „ჩეკაზე“ მეკითხები, მასწავლებელო? სად არის და ქიათურაში გადმოუტანიათ ზესტაფონიდან. თქვენ შესახებ ხვალ დავსვამთ საკითხს უჯრედზე და შეიძლება ადგილობრივადაც გაგაცნოთ მის სტრუქტურას...

მასწ. (თავისთვის ნეტა, არ მეხსენებია.): — არა, ბიძიკო, საწყენათ კი არ გკითხე: ინსტრუქტორი მოვა მაზრიდან, გვკითხავს და უნდა უპასუხოთ.

მოწ.: — მერე, რა ვუყოთ, რომ მოვა. შენც ნუ მკითხავ მეც ხომ ჩემი საქმეებით არ გავმცდარვარ ალბათ, მაშინ ახსნიდით მაგას, როცა მე ყანაში თოხით ვეხმარებოდი თქვენ ამხანაგ მასწავლებელს.

მასწ.: — კარგი, ბიძიკო, დაჯექი... აბა, თქვენ ადექით და მიპასუხეთ: „კავში“ და „გუთანში“ ხახმარად რომელი იარაღი სჯობია?.

მოწ.: — კარგია, მასწავლებელო „ნაგანი“, მარა მე მაინც „მაუზერი“ მირჩევნია.

მასწ.: — არა, ბიძიკო, სასროლ იარაღებს კი არ გე-

# გაქია და ლაქია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითკრიტიკისგან კრული ამ დროში
და ველმოხდილიც მის წინ პირნათლად,
ბიუროკრატი სასადილოში
ერთ სასტუმროში ერთხელ გეახლათ.
ვერ არჩევს ადგილს— სამსახურიდან,
რომ ჰგავს ერთმანეთს, ესეც ფაქტია:
იქაც— მაგიდა, აქაც— მაგიდა,
იქაც— „ლაქია“, აქაც— ლაქია!...
მართალი არის, საწერ-კალამზე
თუ სხვა ასეთზე აქ დარჩა მწყრალი,
მაგრამ, სავარძლის ნაცვლად, რა სკამზე
დაჯდა, ლაქიას შეასწრო თვალი.
და მიიღო რა მრისხანე პოზა,



—„ეი, ლაქია!“.. მსახურს გასძახა,
ისიც მორჩილად, როგორც მიმოზა
ბიუროკრატს წინ გამოესახა.
—„საჭმლების ნუხა!“..



—ინებეთ, აჰა!..
ნუსხას, ვით საქმის ქაღალდს, ჩაჰხედა....
— რას ჰგავს ეს? „ქ ჩორტუ“!.. წამოიძახა
და მოურიდლად ახსენა დედა-..
ლაქია თუმცა არის ლაქია,
მაგრამ საბჭოთა წესი და რიგი
მას კაცად რომ სთვლის, ესეც ფაქტია;
თვის ღირსებასაცა რომ სცნობდა იგი,
გაბრუნდა კუშტად, უტყვი, გამწყრალი
და დადგა რიდით იქავე განზე...
მას გააყოლა „მუშტარმაც“ თვალი,
და თითქოს ნათქვამს აგდებსო ბანზე.



— „ეი, ლაქია!“.. იძახის ისევ
და ურტყამს მჯილით მაგიდას თავზე...
მის წინ ლაქიაც კვლავ წარსდგა მყისვე,
თეთრ ხელსახოცით მოხდენით მკლავზე.



— „ღვინო გაქვთ, კარგი? მოიტათ ნუსხა!“...
მსახურმაც ნუსხა მოართვა წამზე...
წაჰგლიჯა ხელით, ჩახედა ურცხვად
და შეიშმუშნა ამაყად სკამზე.
— „ფუ! ი ნუ „ქ ჩორტუ“— თქვენი ნუხსები!...
რათ არ არის აქ ბორდო, ხერესი?
მე ვსწყრები თქვენზე ჩემის უწყებით,
რომ დაგაყენოთ დღე, უძნელესი!..
ზე წამოიწევს გრგვინავს, ზანზარით,
განრისხებული იკრავს რა კოპებს,
მისდგა ლაქიას მეხით და ზარით,
სჯეკნის და სთელავს, ვით დაბალ-ლობეს!...



მაგრამ ლაქიაც იყო მაგარი,
და სცნობდა ის რა ასეთ ბაქიებს.

ჰკრა ბიუროკრატს სიტყვა სხვა გვარი
რაც არ სჩვევიათ იქ მის „ლაქიებს“!..
— შენ, ეი, რომ ჰყოო [illegible],
აქ მოედანი ხომ არ გგონია?
ერთს ავადებ დავატრიალებ,
თუ ეს შენი ყბა გრამაფონია!..
დაჩვეული ხარ, ალბათ, იქ სხვებზე...
აქ არ გაგივა შენ ის ნომერი...
ა იქ არ დაგრჩეს, გინდა, კიბეზე
საფეხურები გაუზომელი?!..
ბიუროკრატულ ყალბი გაგებით.
იქნებ, გსურს ჰპოვო „ლაქია“ ჩემში,
ვხედავ, დადიხარ ახალ წალებით,
მაგრამ მჭვარტლი კი ძველი გაქვს სხვენში!..
და ჰქუხს ის, როგორც ზარი და მეხი,
ბიუროკრატულ თავზე, მელოტზე,
ძლივს რომ იმაგრებს ქვეშ სკამის ფეხი.
ჭიანჭველები რომ ესხმის კოჭზე...
და თვითკრიტიკა დასჯილი ოდნავ,
ვალგადახდილიც მის წინ პირნათლად,
ბიუროკრატი იმ სასტუმროდან
უპურმარილოთ უკან გეახლათ.

# მელია და ლეკვები

## (იგავი)

ზამთრის სუსხიან ღამეში
იყო სიბნელე უკუნი,
დედა მელიას სტანჯავდა
ქორფა ლეკვების წკმუტუნი.
ფუნაგს ანაცდენთ, დაკარგულთ
სიცივე ჯანში უვლიდათ,
თბილად გათევა ღამისა
ერთ ინდოურად ულირდათ.
მელია თავს აღარ ზოგავდა... 
შვილებისათვის დნებოდა,
ხავილით გაბრაზებული
გორით გორს ეხეთქებოდა...
ბოლოს ერთ მთაზე ავიდა,
ყინვა მას ძარღვებს ხუთავდა,
მორს რომელიღაც სოფელში
ერთგან სინათლე ბჟუტავდა.
იფიქრა: „ეგებ იმ შუქით
ბედს აღარ დავემდუროვო
და ჩემი ანცი ღლაპები
როგორმე დავაჩუმოვო!“.
წინა თათები ასწია,
შემდგა უკანა ფეხებით,
უთხრა: „შვილებო ამ ცეცხლით
ახლა კი ცოტა შევთბებით!
ასე, ჩემსავით გაჩერდით,
ფრთხილად, თქვენ გენაცვალებით,
ძალიან ახლო ნუ მიხვალთ,
თორემ დაიწვით ალებით!“.
მცირე ხანს მართლა სიჩუმე
დამყარდა დედა-შვილებში,
თითქო საყუდი იპოვეს
უმთვარო ღამის ჩრდილებში.
უცებ უფროსზე უმცროსმა
სახეზე ხელი იტაცა:
— ვაიმე, დედავ, მიშველე!—
ჰკიოდა, სწუხდა ხმითაცაა.
— რა იყო, შვილო, გენაცვა?
რამ შეგაშინა აგრეო?
მობრუნდი, გამაგებინე,
გონება გაიმაგრეო!.
— რაღა რა იყო, დედილო,
სიცოცხლე გამიმწარდაო:
ჰა, ნაპერწკალი იმ ცეცხლის
შიგ თვალში ჩამივარდაო!..
მაშინ მშობელი დარწმუნდა,
— ბებერ ფიქრებით გსტყუითო:
„მწარ ხვედრს სჯობს ტკბილ
მოლოდინი,
მოხერხებულიც ჰკუითო!..

გიგო ხეჩუაშვილი.

# ხ ო ტ ბ ა

## (ლელვან - მარელისის თემი)

ტარტაროზჯან! პროხიმ უზნათ
ნიჭი ჩვენი მოლვაწისა.
პედაგოგის, დემაგოგის,
აგრანომის ფერმისტსა.

—:—

ნე პრედსტავით მცირე ვინმე
პედაგოგი შვიდწლედისა,
—ქალკო თემი, ვისაც არ ჰყავს
ენტო გლაზოკ ბუნებისა!

—:—

იასნო ზნაეტ ონ მეთოდი
ლანძლვისა და გინებისა,
ონ პეაგოგო ვკომუნიზმე
ძველ წესთ წაძიძგი ნებისა!..
ონ აგრონომ ზნაჩიტელნი
ვაზისა და ხეხილისა; -
ჩტობ ზაშჩიტიტ პირუტყვთაგან,
ვირასტაეტ, ისევ სჭრისა.

—:—

იაშჩიკ უმა, სერჩის ხუმა,
პრიამო კასსა გონებისა,
ხიფათის დროს ცეცხლით, ნავთით,
დამცველია ქონებისა!

—:—

ვკანცე გოდა ონ ნაჩინალ
მოშენება მწარე ბლისა:
ფანტაზივნო პლოდ პალუჩიტ.
ჭურში კლადიტ, ოტკას ხდისა!..
ზნეობითაც — პრიამო ბოლონ
პრიამო, ონ სკლად მორალისა,
„ცოლის“... „დედის“... „მამის“..
მეტი
არ ახსოვსრა იმის ტვინსა!

—:—

ოჩენ სტრანნო მნე ტამ დუმუ
განათლების კამისრისა;
იაშჩიკ უმა—ნას ვდერევნე,
დარდი არ აქვს ქალაქისა!.

—:—

მაგრამ „პირი— სოფლისაკენ“ —
ეტო ლოზუნგ ლენინისა,
რაზვე მოჟნო დავიწყება
განათლების დარგში მისა?!.

—:—

პაზნაკომტეს ვი, ტარტაროზ,
პრიამო ვ ლელვან აბრატისა,
ტოლკო უმუ საფრანგეთის,
ფილოსოფოს სოკრატისა!..

„მწარე-ტკბილია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მამილო, ბალი!.. მიყიდე, მამილო, ბალი!..
— არა, შვილო არ ვარგა: მატლიანია!..

— როცა ნუგბარი იყო კი, მეუბნებოდი: „კბილს მოვჭ-კვეთსო“!

## გიორგი მოხერხებულაძე

დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, — წყნეთში!— გადაწყვიტა მოაგარაკება, გიორგი მოხერხებულაძემ.

— ახლოს არის, სამსახურის საქმეებსაც მივხედავ, სურსათ - სანოვაგესაც აქიდან მივაწვდი ცოლ-შვილს და მეც ხშირად ავქროლდები ხოლმე — ფიქრობდა გიორგი.

გიორგი მღვდლის შვილი იყო. დაიბადა სწორედ აღდგომა დღეს, რასაც „განსვენებული“ მამა მისი, ონოფრე, დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მაგრამ ამ აღდგომას დაბადებამაც ვერ გაამართლა იმედი. სწავლა მისმა „გულმა არ მიილო“ მეორე კლასამდე რომ მივიდა, მისმა ფეხი მამა მისის ჯორივით და.. ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს

მერე და რა ადვილი იყო მაშინ სწავლა: ეხლა, რომ არის ეს კომპლექსიო, ზოგიერთი მასწავლებლის ხელში დომხალად რომ გადაიქცა. ეს ლაბორატორიაო, რომლის დროსაც დღეს ზოგ მოწაფეს გული რომ უწუხდება ხოლმე, მაშინ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. მაგრამ რათ უნდოდა მაინცა და მაინც მეტი სწავლა. ის უსწავლელადაც „არ დაუტანჯავს წუთისოფელს“; მენშევიკების დროსაც მშვენიერი სამსახური ჰქონდა: მსახურობდა თავისი სეხნია, გიორგი ერაძის „უპურ-მარილო“ სამინისტროში, პურის საცრელ განყოფილებაში. საქმე მაინც და მაინც არ ჰქონდა ბევრი, ვინაიდან გაცრილ პურს, მაშინ მარტო მინისტრები თუ მოითხოვდენ.

შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, გიორგი იმ თავითვე მოვიდა გონს — ზოგიერთ მენშევიკივით არ გაჭირვებია „პლათფორმაზე“ დადგომა, თუმცა „მატარებელში შეძრომა“ მაინც ვერ მოახერხა. იმ თავიდანვე იყო მხოლოდ „არიფიონელებზე“ არა ნაკლები „პაპუტჩიკი“. ხოლო ვინაიდან „პაპუტჩიკი“ თანამგზავრს ნიშნავს, გიორგი მოხერხებულაძე ერთ დროს საბჭოთა გზატკეცილების საქმესაც განაგებდა. თუმცა დიდი სპეცი არი იყო თავისი საქმისა, მარა რაც იყო, ის იყო...

ერთხელ ზეპირადაც კი გააკეთა მშვენიერი მოხსენება გზატკეცილების „მოღვაწეთა“ ყრილობაზე:

— ამხანაგებო, დაიწყო მან. ჩვენი გზები და მისი ტკეცილები (მართლთქმა ყველგან გიორგი თხელიძის იქნება დაცული) ნამეტანი კაი მიღწევებია. „საატჩოტო“ წლის განმავლობაში ადგილი არ დარჩენია არც ერთ მარცხის „სლუჩაის“, გარდა კოჯრისა და მცხეთის გზატკეცილებზე მომხდარ თითო-ოროლა „კრუშენიისა“. მარა ისიც მთვრალი შოფერის ბრალი იყო და ორი ბრუციანი გლეხი მეურმისა. ერთი გლეხი მოკვდა, ხარები გადიჩეხა, ავტო დაიმტვრა, უიმისობა არ შეიძლება, უმსხვერპლოდ რევოლიუციაც არ მომხდარა არამც თუ გზატკეცილები გაკეთდეს (მხურვალე ტაში). რაც შეეხება მანგლისის გზას, თვალხუჭია გეივლის კაცი ზედ, წყნეთში მიმავალი გზატკეცილიც ხელისგულივით არის, ერთი სიტყვით, დაბოლავა „რეჩი“ მომხსენებელმა: გზები ყველგან კაია და კაია“...

მაგრამ გიორგის „რეჩზე“ უფრო გამიგრძელდა მე ჩემი ამბავი. ასე იყო თუ ისე, გიორგიმ წყნეთში გადასწყვიტა მოაგარაკება. ერთ მშვენიერ კვირა დილას დაიბარა „თავისი“ ავტო (№-ს არ ვიტყვი) დაგაქროლდა ოთახების დასაქირავებლად წყნეთისაკენ. უნივერსიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ყვავს არ ჰქონდა, გუს გაჰქონდაო“
## ანუ
## ფიცი მწამს, „კუდი“ კი მაკვირვებს




— ეს „სახელგამიდან ალბად გადმოსული ბუჰგალტერი, გოგუაძეა.

აქ გადმოვიდა მხოლოდ იმისთვის, რომ იქ ცამეტი თუმანი ჯამაგირი ჰქონდა აქ კი—ჩვიდმეტი მიიღო.

— მერე და დავჯერო, რომ შრომის ბირჟას თუნდაც ერთი უმუშევარი ბუჰგალტერი მაინც არ მოეპოებოდა?!.

— აი, კუდები!.,

ყოველივე ეს კი ამას ამბობს:
„სახელგამმა“ უთხრა „ბირჟას“:
გამიჩინე სატირალი!
ბუჰგალტერი რომ წამართვი,
ჩვიდმეტ თუმნად სალირალი,
საკუთარი ცოტა გყავდა,
უმუშევრად ნალირალი?!.

---

ქუჩის ბოლომდე მართლაც მშვენიერად მიქროდა ავტო სოფ. ბაგების აღმართზე, თქვენმა სიცოცხლემ, იქლო ავტომ, ბოლოს სულ გაჯიუტდა. შოფერი კოლა ოფლში იწურება. მაგრამ ავტო მაინც ერთ ადგილას ხრიალებს. გიორგიმ იკადრა ჩამობრძანება. შოფერი კი განაგრძობდა „ჰაჩინკობას“.

— სულ ასეთი გზებია წყნეთამდე?—მიმართა ბოლოს ერთ გლეხს გიორგიმ.

— კიდევ უარესი, ბატონო. უპასუხა გლეხმა. ამ გზაზე მხოლოდ ჩვენ ვირებს შეუძლია სიარული, თორემ ქალაქელი აქ ვერც გაივლის.

როგორც იქნა, კოლა შოფერმა მოიყვანა „გონზე“ ავტო. გაუდგენ გზას. მაგრამ, მცირე მანძილის შემდეგ, გადაყირავდა ავტო, გიორგიმ ცოტა თითი იტკინა, შოფერი მსუბუქად დაშავდა, ხოლო ავტო კი ისე საძნობლად დაზიანდა, რომ „კამერების აბუქსირით“ ძლივს ჩამოათრიეს თბილისში. გიორგიმაც ფეხით იკადრა წამობრძანება.

მომხდარმა მარცხმა მაინც საგონებელში ჩააგდო გიორგი მოხერხებულაძე:

„ეს რა უბედურება მომივიდა ამ თვითკრიტიკის დროსო“ — ფიქრობდა ის. მაგრამ აბა რის მოხერხებულაძე იყო, რომ უცბად სახე არ გაბრწყინებოდა და ასე არ დაედგინა: „შევადგენ აქტს, შოფერისა და საქმეთა მმართველის ხელმოწერით მასზე, რომ გზატკეცილების დათვალიერების, ე. ი. სამსახურის ასრულების დროს გამიფუჭდა ავტო და მე და შოფერიც მსუბუქად დავზიანდით“. ვინ გაიგებს: წყნეთში აგარაკის დასაქირავებლად მივდიოდი, თუ მართლა გზატკეცილების დასალვალიერებლად.

რაც ითქვა, იქნა კიდეც. მეორე დილით გიორგი მოხერხებულაძე ჩვეულებრივზე უფრო ადრე წავიდა სამსახურში. დაიბარა საქმეთა მმართველი და კარგად, გვარიანად გაჯორა:

— კაცო, როგორ არ გცხვენიათ, რომ ყოველთვის მატყუილებთ.

— რა მოგატყუეთ, რაშია საქმე?

— რაში და იმაში, რომ მე თქვენ გენდობით და ჩემს მოხსენებებს მუდამ თქვენ მოხსენებებზე ვამყარებ ხოლმე.

— ალბად, ასე შობა ყველა საქმეთა მმართველი და არ მესმის მაინც, თუ განსაკუთრებული მე რა ჩავიდინე ასეთი!..

— ის, რომ ამას წინად, შენი მოხსენების მიხედვით, მე მოხსენება გავაკეთე და რიხით განვაცხადე, რომ ეხლა ყველგან საუკეთესო გზებია მეთქი, განსაკუთრებით კი წყნეთის გზა ვაქე. მაგრამ გუშინ კი, სწორედ წყნეთის გზაზე გადაგვიბრუნდა ავტო და ძლივს გადავრჩით სიკვდილს მე და ჩემი შოფერი. მე თქვენ უსათუოთ დაგითხოვთ, აუწია ხმას გიორგიმ.

— თქვენი ნებაა, უპასუხა საქმეთა მმართველმა, მხოლოდ მე აქ არაფერ შუაში ვარ... და თან გასვლაც დააპირა.

— მოიცადეთ, უთხრა გიორგიმ, შეადგინეთ აქტი ასე, და გადასცა ქაღალდი; მოაწერეთ თქვენ და შოფერმა ხელი და ვნახოთ, ვიფიქრებ კიდევ თქვენ შესახებ. საქმეთა მმართველი გავიდა. გიორგი მოხერხებულაძე კი ამ დროს კმაყოფილების გრძნობასა განიცდიდა, რომ ეს წამხდარი საქმე ასე ლამაზად გამოაკეთა.

ველი.




— ამბობენ, თქვენ ცოლი ისე გიყვართ თურმე, რომ უმისოთ ერთ დღესაც ვერ გაძლებთ.

— ეგ მართალია: ჩემი ცოლი რომ არ ყოფილიყო, აქამდი შიმშილით მოვკვდებოდი.

## პეტრიეს წერილი დედასთან

ამხანაგო ნენავ! იცოცხლე და იდღეგრძელე... სხვაი, ამხანაგო ძუძუავ. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მტერია ჩემსავით. თუთა მალაზონი თუ გახსოვს, ზიარების დღეზე შვიდოულს რომ თმენდა, ისე დავგანგალობ ძულაი. რაიდა, „ახალმა ღმერთა“ დასწყევლოს ქალაქი, რაცხამ იფხიკა უცფათაი და, ფუი—ეშმაკს, ზე გამოხინკილდა ყოლიფერი მთელ ბათომში. რავა იშონება ან პურის ფინჩხი. ან მჭადის კიჭეჭი!.. შეიქნა ბრიალი, წრიალი. ფრიალი და მივაშურეთ ყველაყამ ადგილკომს მუცელ გამოქარქაშებული. მარა, დუშმანს იმისთანაი,—თქვენ შტატნი არ ხართო — და მიგვრეკეს მეორე კუთხეში. ამ დროს ჩვენ თვალწინ ამხანაგი შტატნები იტაცებდენ ამ ღუნღულა პურს და შენ—ვისი ძაღლი ხარო—რავა გკითხება ვინმე.

აბა, ბიჭებო შევძახეთ და მოვშპით საუბნო კომიტეტში.

— აი, პაჯალუსტა, ამხანაგო კიკაბიძე და ბუაძე, დაგვეხმარეთ რაცხა, თვარა აღარავართ ჭკუაზე! — თქვენ შტატნი არ ხართ, ვერ მოგართვით, ოლოლო, ამხანაგო, პოშოლო!

წავბენცელდით ისთევლე დავინახეთ ანგარამის გამგე, ჩხეიძე, მიულილინეთ მასაც: „გთხოვთ გვათხოვოთ ყური, გვშია, მოგვეც პური“!..

— „ბოშო, დღიურ მუშებიზა სად გვაქვს პურიო“, და წაბენცელდა შენი პეტრიელაი სადგურში.

— კიდევ, მივედი მარა, რა მივედი! დევინახე, რა დევინახე: ქიარ უშონია საცხა ამხანაგ ძუკუ მეგრელს ორი ტორი ქვილი! ჩუუზელია ჩარხანაში და მიაქ შიშინ-შიშინი. მე მას მივაგჯ, მან ჩახანას მიაგჯა: გადმუაბრუნა და ბეთქვა მოადენია ფიცარზე. ვდღლიზე და ვდღლიზე შით მარცხენა - მარჯვენაი, მივაზილე გაზრუკული ტარ-ნაის კუდი და გადუუშვი და გადუ... მაჰრიეს ქვაბ-ში ლუკმა ლუკმაზე!..

— დედავ, შეძლა კუჭი, დალაგდა ჭიები, მოვიდა თვალში იალონი! ა, ბიჭო, ცხონება, ა, ბიჭო ჩემი ამხანაგო, ჩემი ხარი, ჩემი ძროხა, ჩემი ღორი, ჩემი ვირი, ჩემი ყოლიფერი ჩემი ძუკუიე არ შეიქნა აგერ!..

მარა თურმე არ სძინავს ეშმაკს ·ქვილის ღომი ყოფილა უშუშარი, შეიქნა სტომაქში რევოლიუცია, ანარხიზაცია და, პატივი თქვენთან და გამწია მუცელში, გამიშთახოხა პრეწიეი, აგერ ახლაც სულზე დგანა შენი პეტრიეც.

ჩემი დღეი დასდგომოდეს
 აფხაზავა ადგილკომს,
შუაძე და კიკნაბიძეც
 რომ ვერ სჭამდეს ის ფქვილის ღომს,
და ჩხეიძეც, მენახოს,
 გასჩენოდეს თიაქარი,
ფუნჩხა სრულად გაუწყვიტე
ზურგს მუცელი მიაკარი!..

ჩხიკ-ჩხიკ.

## აჭარული სცენა

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!, ეიდა ჭოვ, უნდა გაგაცინოთ, იმედია, დამიდინგლებთ, ველარ ევიტანე, ყარდაშ, იმდენი გაჭივრება, ერთხანს ვითმინე, ვითმინე, მარა მოთმინებაც მომძულდა! აი, ბეგები და აღიები რომ იყვენ, ჭოვ, კარგათ კი ცხოვრობდენ; ჩვენ ზურგზე იჯდენ, კაი ჭამა გინდა, იგინის იყო, კაი სასმელი გინდა, იგინს ქონდა. მათი იყო მიწა, მათი იყო ტყე... შენ დაქედი და ჩეჩე, ჭოვ, მატყლი, ისე მომშივდა, ისე მომშივდა, რომ კუჭი, ვალაი და ბილაი, კალამ გამიხმა, ამტკივდა მუცელი, ველარ ვიშონე უცრელი, ვიფიქრე, ვიფიქრე და მევიგონე ერთი ეშმაკობა: ვიშონე ძველი მაჭახელაი, ზოგს ვესროლე, ზოგმა მესროლა, ზოგს ვსტკუცე, ზოგმა მტკიცა, ზოგს გამოვეკიდე და, რავარც იყო, დავატიებიე მიწა. ახლა იგინმა დაქდენ, ჭოვ, და ჩეჩონ მატყლი. კი ჩეჩენ, შენ ნუ მომიკვდე, მარა, მატყლსაც რომ ვერ იშონიან!.. ასე, ყარდაშ, ასე! გავაქციე მტერი, მივაყარე ტვერი. ვაი და ვუი, ქვაი და რკუი ჩვენ მტრებსა. რუა ტყვით, ყარდაშ, ხომ კაი ბიჭი ვყოფილვარ? მე ვარ კაი ბიჭი, ტოლი ბიჭი ოსმანაი!.

ბუჯგუტი.

## ამონაკვნესი

(უძლვნი ბევრს, ძალიან ბევრს).

ჩემი ცოლი ჩემთან ახლოს მინდოდა:
ჩემთან ერთად წავიდ წამოვიდოდა...
გავბრიყვდი და გავაგზავნე ბახმაროს,
რომ იქ სხვები ანეტარის, ახაროს!..
ჩემი ცოლის კოცნა მე მომენატრა,
მაგრამ აღარ მისრულდება ეგ ნატვრა,
რადგან ბრიყვმა მივქარე და გაუშვი,
აწ ბახმაროს დადის იგი, ჩაუში...
ჩემი ცოლი ბახმაროზედ, გუზლუზებს,
მე კი ვყლაპავ ამ სიცხეში ცივ ბუზებს!..
სად ხარ, გოგრავ, გოგრავ, ტვინით გავსილო!
რომ წაგიღო და მტკვრის პირად დავსილო.
ჩემი ცოლი ბახმაროზედ ნაძვნარში,
დღისით, ღამით, ნისლშია თუ ავდარში.
კავალრებთან ერთად, მიდის და მოდის,
მე კი შრომით ყელში სული ამომდის! *).

ტოქსინი.

*) ახია ვირზედ კურტანი.
ხალხური ანდაზა.

# მესტვირული

დიდი ხანია ქამანჩას
ალარ მიხლია ხელია,
გულიც დაკნინდა, უმისოდ,
ძნელი რამ მოსალხენია....
მსურს კვლავ გუდუნას მივმართო,
სტვირს აუსველო პირია,
მტერს თუ მოყვარეს უმღეროთ,
ვისაც თუ როგორ სჭირია...
მაშ, ბატ-ბალიდან დავიწყოთ,
იქ გყავს ჩვენ სამი გმირია,
მათ მოუხდებათ, ზურნითა,
რომ აუწითლოთ ცხვირია.
'კალანტაროვს და ძიბაშვილს
გავკრათ ფიწალის წვერია,
ტაბახმელასაც ნუ დავტოვთ,
'კუპრაშვილიც ხომ ჩვენია,
მიწათ-სამკომის მიწები

გვერდზედ რომ შემორჩენია
თესავს და თესავს კარტოფილს
მუშებს ატყუებს ჩვენია,
სჯობს დაივიწყოს ძველი დრო
და ძველებური სენია!..
სახალხო მამულის ტრესტში
გვყავს ერთი ვინმე, ცხადია,
გლეხებს ატყუებს თივაში,
მით გამდიდრება სწადია.
სამი თვის წინად ის მოხსნეს,
დახეთ, რა ყალთაბანდია:
სტრახ კასას გადაებარგა,
შეიქმნა კონტრაბანდია.
მაგრამ დღეს ისევ დაბრუნდა,
განაგრძობს საქმის ვნებასა.
მიწათ სახკომმა რომ მოხსნა,
არ ვიცით, ვინ რთავს ნებასა!..
აბა, ჰა, სტვირო, ქამანჩავ,
ამოვიწმინდოთ ყელია,
არ გვიმღერია, ხომ იცი,
გაგვირბის ორი წელია.
საბურთალოსაც ვეწვიოთ,
ეს კუთხე ბნელზედ ბნელია,
ვისაც უნდა და არ უნდა,
ყველამ შეავლო ხელია.
სამკითხველოს და სკოლების,
მუდამ ღია გვაქვს კარები,
თეატრზედ აბა, რა გვეთქმის,
სად არის შესადარები.
„შიგ ადგილს ხომ ვერ იშოვი
სამსეა კაცი, ქალები“,
სანამ ახსნიდენ ფარდასა,
დაგებრუცება თვალები
ვინ უწყს, აქ დამსწრეთ რამდენხელ
რა ჭირი გადახდენია,
იმათ გამგეს და რეჟისორს
სულიც კი ამოხდენია.
თუ იყო სადმე სანაგვე,
ჩვენ მოგვაყარეს პიესა,
„აამოძრავეს თეატრი,
'კულტურის ფრონტი სძლიესა!..
რეჟისორიც ყავთ „მცხოვანი“,
სცენაზედ ერთი წელია,
თუმც ხელოვნებას არ იცნობს,
მაგრამ რა საცოდნელია?!
ჩვენს გამგეობას კი სძინავს,
არ სურს გაილოს ხელია,

# ბიუროკრატია, ძაღლი არ გეგონოთ!




— ამას წარწერა კი არა, მავთულ - ხლართიც ვერ შეაჩერებს!..

ო, „ტარტაროზ“, ისევ შენ
მათ გაუსწორე წელია!..
ეხლა შევჩერდეთ, გუდუნავ,
და შევასვენოთ სტვირია,
ბაირიც შემოვინახოთ,
შემდეგ კვრისთვის გვჭირია!..

გო.—ცი.

## გამოცანით

მიდიოდნენ სადღაც
ორი ქალი ერთად:
ერთს ჩაეცვა ლურჯათ,
მეორეს კი თეთრად.

—:—

თითეულ იმათგანს
საქმე ქონდათ ჩქარი,
სატრფო ელოდათ ან
საკუთარი ქმარი.
გზა წინ ედოთ იმათ
ვიწრო ქვა-ფენილად,
უნდა ევლოთ რიგში,
რა ვერ რთავდენ წყვილად

—:—

სონამ მოისურვა
წასულიყო წინა,
თავჩედობა მისი
თამრომ გაიკვირა.

—:—

მიაძახა: „შენი
ნომერი არ გავა“!.
და შეიქმნა მათში
სკანდალი და დავა.

—:—

ცოტა კიდევ და ჰა.
მოყვებოდა მარცხი,
მაგრამ, რაღაც ბედათ,
გაჩნდა ვიღაც კაცი.

—:—

რა შენიშნა მათი
დავა და მიწევა,
ორივე ქალს მისცა
იმან ერთი რჩევა.. —

—:—

არ ვინ იცის, რა სთქვა
კაცმა, დაფარული,
მხოლოდ ორივე ქალს
კი მოულბათ გული.

—:—

და სთხოვენ ერთმანეთს:
„თქვენ მიბრძანდით, თქვენ!.
— თქვენ უფრო ხართ ღირსი
- არ მოგეცეთ წყენა!“.

—:—

არც ერთი მათგანი
ალარ იძვრის წინა,
ორივე ერთ ადგილზე
თითქოს გაიყინა!...

—:—

ყინულსაც და გზასაც
ორივეს ბოდიში!
მე კი საიდუმლოს
გავსთქვამ, ვერ მოვიშლი.

—:—

კაცმა უთხრა ქალებს:
„მან მიბრძანდი წინო,
ვინც ხნით უფროსი ხარ
და უფრო საჩინო!“.

—

შაკო.

## უსტარი ტარტაროზს

(ოზურგ. მაზრიდან)

ტარტაროზ! უკმაყოფილო
ჩვენა ვართ, მხოლოდ იმითი,
რომ დაივიწყე სრულებით
ჩვენი სოფელი—ძიმითი.
არ მოისურვე გაგეგო
რა ხდება აქა ამ ხანათ,
რამდენს რა ბედი ეწია
და ვის თავი აქვს საფხანათ.
თოფილე, დაიხსოვნეთ,
თავმჯდომარეა ყოფილი,
ეხლა გიორგი ბრძანდება,
რჩეულით „შეურაცყოფილი
ლადიკო გეგენავა და
მასთან მგელაძე ალექსო.
ნება მომეცით ტარტაროზ,
სულ ყველა ერთად გავლექსო.

—:—

ეს გიორგი თავმჯდომარე,
ვინ არ იცის რას აკეთებს,
მთელი ტყეი ხელთ ჩაუგდო
გასაჩეხათ მან აკეთლებს.
რიხით ბრძანა: „დღეს საერთო
მოიწვიეთ დიდი კრება,
ხალხი მოდის. თვითონ
მიდის.
ნაგომარში ღვინით თვრება,
თრობის შემდეგ, როცა ფული
გააჯერა ნაგომარი,
თეოფილეს ეჭიდავა
და მობრძანდა ნაომარი.
ამ საქმეზე ამ ორ ჯმირმა
ლამის დაკლეს ერთმანეთი;
გაფლანგულიც აღმოაჩნდა
გოვის სამასი მანეთი.
ჩვენი ეპო თუ ლადიკომ
ან ალექსომ გააკოტრა,
და აქნამდის თუ არა ვსთქვით,
რაი მერე, რავუყოთ, რა!
გამოჩნდება ვინც მათ ფარავს
და ისინიც ვინც შეხანსლა.
არ უშველის არც ერთსა და
არც მეორეს ბათუმს წასვლა.

—:—

## გლეხებისგან „ცოტა გროში".

თეოფილემ „დაივალა"
და პროცენტში გაასესხა
„ამხარტელის" სასტუმროში.
მაგრამ დახე, ბედი გასწყრა!
ეს არტელი დაიხურა,
დახურვასთან „ბიჭებიც" ხომ
საგრძნობ ვალით დაიყურა!
დღეს ეს ოთხი „ქრისტეს ჯორი"
ერთმანეთზე ამბობს „ავსა"...
თეოფილე მილიციამ
ასეთ სიტყვით „მოათავსა":
— „ეპოს სახით ნასესხები
სასტუმროსთვის მოგიცია.
მისათვის თავს დაგესხა
შენ სამაზრო მილიცია!"..

— გესლი.



აწ მომიკითხე ის სამეული.

## ა გ ა რ ა კ ი დ ა ნ

გუშინ მივიღე წერილი ვრცელი,
ცოლი მწერდა აგარაკიდან.
„გამომაჩნდაო ძალზედ მუცელი",
ასე ჩდა მისი ლაპარაკიდან.
„თუმც ავდარია და ცუდი დარი,
მაგრამ მაინც ვარ მხიარულ გულზე,
იმიტომ გწერავ, რომ თუ ხარ ქმარი,
ნაკლულოვანებას განვიცდი ფულზე.
გავიცან ერთი ყმაწვილი ვაჟი,
შენი ყოფილი ძმა-მეგობარი,
ერთად დავლაში მივიღეთ სტაჟი,
შემოვირბინეთ სულ მთა და ბარი.
თუ ორ თვეს კიდევ დავრჩი აქანა
მერწმუნე ნატვრა, ასრულდეს შენი,
რომ გაისს ამ დროს მყავდეს ბალანა,
და მოგემატოს ერთი საჩჩენი!...
ახლა მშვიდობით, ეცადე ჩქარა,
ან ვისმეს ხელით, ან კიდევ ფოჩტით,
გამომიგზავნე საკმაო ფარა,
რომ გამოვმრთელდე აქ ორ თვეს მოცდით.

პასუხი აგარაკზე

შენი წერილი მივიღე გრძელი,
და მოვისმინე სიტყვები სრულად,
მჯერა ძმა-კაცი ის, ჩემი ძველი
მალე გაგხდიდა ალბად ორსულად.
ფულის შესახებ გაცნობებ ამას,
რომ ბევრი დამრჩა აქ კიდევ ვალი.
და მისი შიშით ვერ ვბედავ ჭამას,
მყოფნის სულ დღეში გირვანქა მსხალი...
აღარც მასესხებს ვინმე ამ ხანად,
არც ახალები არა მაქვს რამე,
ვინც ჩაგისახა შენ მანდ ბალანა,
მასთან იცხოვრე, იქ სვი და ჭამე.
და ჩემგან აწი ნულარ მოელი
ერთ კაპეიკსაც სახარჯავ ფულად!
აწ მომიკითხე ის სამეული,
რომელშიც შენ თვით მყევხარ ორსულად!..

პ. ბლაყუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობათა მიღება




**ლახვარს—ქ. ქუთაისში**

„აგური და ქვაო,
მე მსურს ასე ვსთქვაო“ გვწერთ.

სურივილი ერთია, ხოლო თქმა კი მეორე. აი, სწორედ ამ თქვენი თქმის შესახებ ტარტაროზმაც სთქვა თავისი სიტყვა, შოთა რუსთაველის პირით::

„მოშაირედ ვერ მიქია,
ვინც სადმე სთქვას ერთი, ორი“-ო.

თუმცა ძალიან ეძია, მაგრამ თქვენს ლექსში ვერ ჰპოვა ორი ისეთი სიტყვა, რომელიც ერთი მეორესთან ან ლოღიკით ყოფილიყვეს გადაბმული, ან გრამატიკული წესით მაინც. აი, თუ არ გჯერათ::

„ამ ვაჟბატონებს ხშირათ
ღამით ნახავთ მთვრალი“...

თუ თქვენ ხართ მთვრალი, თავის თავზე უნდა დაგიწერათ, „ვნახ“-ო, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში სულეიმანოვსა და ქველიაშვილს თქვენ მაინც ვერ დაინახავდით და მაშინ ლოღიკა დაისჯებოდა. თუ ჩვენზე ლაპარაკობთ, მიგიქარავთ: ჩვენ სიმთვრალეს თვითონ ვსდევნით და, მაშასადამე, თქვენ საიდან უნდა „დაინახოთ“, ჩვენ დავინახავთ თუ არა. თუ იმ „ვაჟბატონებზე“ ლაპარაკობთ, მაშინ გრამატიკაა ცოდვა. ერთი სიტყვით, საითაც უნდა გაიქცეთ, იქით მოგიწევთ წაქცევა. სწორედ ისე, როგორც ეს მართლაც მთვრალს ემართება ხოლმე. ასე ძნელია სურვილი, სიმთვრალით შემოსურვილი!

რაც შეეხება ბიუროს შესახებ გამოთქმულს თქვენს აზრს:

„სულეიმანოვს ვურჩევთ
თავის ტყავში დაეტიოს
და თუ არადა ურჩევთ
უჯრედიდგან გაეტიოს“.

ლექსთა წყობა, როგორც ხედავთ, ჩინებულია, მაგრამ აქ საჭიროა ან ერთი დასტა „მაგარი ნიშანიც“, რომ თავ-თავისი ადგილი იპოვნონ ლექსში, ან ამდენივე მაგარი შოლტი, რომლებიც შესაფერ ადგილს თქვენს ტანზე უეჭველად იპოვნიან.

**დაუნდოგელს— საწირეში.**

არც ფსევდონიმი და არც სოფლის სახელი არ გწყალობთ. ესენი უნდა გამოიცვალოთ. თუ თქვენი ვალიკოს ენა ასე რაკრაკებს:

„რა ლამაზია ნიკოსი,
ჩვენი მეზობლის ცოლიო.
ვფიცავარ ჩემსა გამჩენსა,
ცაშიც არა ყავს ტოლი“-ო.

ეს თუ ასეა, მართალს რაკრაკებს, სჩანს, არ უჯერის ზეცის არაკებს და ნიკოს ცოლზე უჭირავს თვალი?!. ჩვენ რათ დავიდოთ იმისი ბრალი?!.

**ყარი-ყურუშს — სად. გურჯაანში.**

მესტვირულს კარგად იწყებთ, მაგრამ ცუდათ ათავებთ. ბრძენი კი ასე ამბობს: „ყველაფერი ის კარგია, რაც კარგათ თავდება“-ო.

**სამუელს, აკაკის, მიხაკოს, სოსიკოს, თედოს, შოთას, კოტეს, ვარლამს, მიხოს, ბესარიონს, არსენს, ლადიკოს, კაკიასა და სხვებს — სოფელ ზვანში.**

თქვენზე ბეშტიოლი ცუდ რამეს იწერება. თუ არ მოგიშლიათ მთელი ღამეების კარტის თამაშში გატარება, უთუოდ ერთ-ერთ უთენია დილას ჩანგლით თავზე დაგადგებით. მაშინ „ნასტარში“-ც ველარ გიშველისთ

**სვერჩნიკოვს — ესესერ-ში**

ვინმეს მართლაც ეგონება, რომ ეს „სვერჩნიკოვი“ ვინმე ან რუსი ან სხვა რომელიმე ერის შვილი იყვეს. ნამდვილად ეს „სვერჩნიკოვი“ აგერ გახლავთ ბორჯომში. მიუხედავად ყოველივე ამისა, მას მხედველობის მასშტაბი მაინც მსოფლიო სიდიდისა აქვს. მართალია, ეს „მაშტაბი“ მან ჯერჯერობით ვგრედწოდებულ „შარადის“ წერაში გამოიჩინა, მაგრამ „შარადაც“ ხომ „შარა“დან წარმოსდგება. თუ გზაში რამე „შარი“ არ აუტყდა მაშასადამე, ვინაიდან შარას არ უჩანს არც თავი და არც დასასრული, ხოლო „შარადას“ კი ყოველივე ამასთან— ალარც შინაარსი, ცხადია, სვერჩნიკოვიც მსოფლიო მასშტაბისაა.

ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივია ის, როცა ამხ. „სვერჩნიკოვმა“ თავის შარადის გმირად ცნობილი დეტერდინგი აირჩია. „დიდ გორს—დიდი მტვერი“, ხოლო „დიდ დაფას—დიდი სულის ბერვა“ შეშვენის.

იქნებ ვინმემ შეგვნიშნოს: შარადა თუ ოდნავ მაინც კარგად დაწერილია, ხოლო შიგ ნაგულისხმევი სიტყვაც ასე ადვილად გამოსაცნობი, როგორც დეტერდინგი, რაღას ედავებით „სვერჩნიკოვსო“. ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი, შარადის ახსნა რომ თითონვე მოაყოლა, თორემ შენი მტერია:

„ზარალის დროს იხმარება
სიტყვა ეტყობა უცხოა,
რვა ცალ ასოსგან შესდგება
ჩვენ მხოლოდ ორი გვჭირდება“-ო.

აი, სწორედ ამაზედ იტყვიან: „შორი გზაი მოიარე შინ მშვიდობით მიდი“-ო.

თუ აქვე იმასაც დავსძენთ, რომ ეს ორი „ცალი“ ასო შარადის დასაწყისს უნდება, ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ „სვერჩნიკოვს“ დე უნდა გვაპოვნინოს, მაგრამ ამისთვის უზომოთ გვაწამოს. ჩვენ არ წავიდეთ ჩვენის ნებით ამ წამებაზე და ეს დე პირდაპირ „სვერჩნიკოვის“ ახსნა-განმარტებიდან ამოვიღეთ.

შევიგინებოდით დე...-ეს, მგარამ ეს არაა მიღებული ამ კულტურულ რევოლიუციის ხანაში... ისევ სარედაქციო გოდორმა იტკივოს ამაზე თავი.

მოშარადეები ძალიან უნდა გაუფრთხილდენ ჩვენს სარედაქციო გოდორის ტყიუილ-უბრალო საქმეზე შეწუხებას...

## კაცი გჭობს, „ბიუროკრატიზმი“ კი თავისას აკეთებს



— ამბობენ: სისაძაგლეს ზღვა არ ითმენს და არ აჩერებს: ნაპირის რიყეზე აგდებსო!..
— ტყუილია: აი, ჩვენი გამგე სულ იქით და იქით მიცურავს ზღვის სიღრმისაკენ, მაგრამ...

პოლიგრაფტრესტის მე-ნ-ე სტამბა, კამოს ქ. № 68